

საპრტიმ გაფეთი

№19 (611)
ოთხშაბათი
26 მაისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

გიორგი სასოქია:

ერთადერთი სურვილი მეოდა, გაქვს
და მექნება - დაბრუნდნენ გურულები
გურიანში და არ დაიხალღოს რეგიონი



„ქართულ ოცნებას“ ნაბეზის უფლება არ აქვს,
რადგან მისი ნაბეზით საქართველო წააბეზს!

„რა არის იგი სინათლე“



გოლეტიანმა მოსახლეობას მოუწოდა,
დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ზეიმზე
ნუ წახვალთ, ჩვენთან მოდითო. დამოუკიდებ-
ლობის დღე გააუქმეთ უკვე, ბატონო ვარლამ
თუ არსებული ხელისუფლება დაამხეთ და
აღლუმს თქვენ იბარებთ?

ალი ბაბაევი:

რაც დმანისში მოხდა, ეს
იყო „ნახშირკარობის“ შიარ
დაბეზილი პროვოკაცია




დმანისს კახა ოქრიაშვილის მონები
მართავენ. ხელისუფლება იქ მთლიანად
„ნაციონალებით“ არის დაკომპლექტებული



რატომ აკითხავს სინაში ნიქანორ
მელიას „ისკრა“ და „პრავდა“?

რას გვეჩივრის „გირჩი“?



იანო ხვიჩიავ და ვახო მეგრელიშვილო, სანამ
პარლამენტში შემოქუსკუსდებოდით, თქვენ თავი
სომ არაფრისთვის მიბირტყამთ, საყვარლებო?

ნამლის მაფია

„თუ ვნახე ნამლის მაფია, თავს
წავაცლი! აბა, რისთვის ვარ აქ მე?“

**შავი სამყარო,
მანდატურთუხუხუხისი და
ჩემი სკოლის დირექტორი**

**ოგი დათავრდა, გზვილოვის
გეზინოდით, ხალხო!**

„გურიან იყო ურთიერთობა“

„საპრტიმ გაფეთი“ - გაფეთი მოაფრთვნა გკითხვალისთვის

რედაქტორის გვერდი



ვახტანგ სარიკილავა:

26 მაისი დამოუკიდებლობის დღეა!

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან დღემდე განვლილმა გზამ, ალბათ, ერთ რამეს მიგვახვედრა — დამოუკიდებლობის გამოცხადება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება.

დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი — გამოაცხადებ, დამოუკიდებელი ვარო და დამთავრდა, იმ მომენტიდან დამოუკიდებელი ხარ!

დამოუკიდებლობისთვის ყოველდღე უნდა იბრძოლო, დამოუკიდებლობა ყოველდღე უნდა მოიპოვო, მის შესანარჩუნებლად ყოველდღე მუხლჩაუხრელად უნდა იმრომო და ოფლი ღვარო.

ჩვენ როგორ მოვიქცებით დამოუკიდებლობის პირველივე წლებში?

როგორც მოვიქცით და საკუთარი ქვეყანა საკუთარი ხელით დავანგრეოთ, ჩვენს მიერვე არჩეული ხელისუფლება დავამხეთ, პრეზიდენტი ჯერ გავაქციეთ, მერე უკან დაბრუნებული მოვკალით, რისი გაყიდვაც შეიძლება და, გავყიდეთ, რისი წაღებაც შეიძლება, სახლში წავიღეთ, ფაბრიკა-ქარხნები ჯართად გავზიდეთ, სოფელი გაგაჩანაგეთ, ერთ დროს ყველაზე მდიდარი რესპუბლიკა დროის სულ მცირე მონაკვეთში ყველაზე ღარიბ ქვეყნად ვაქციეთ.

თითქოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება იმისთვის გვჭირდებოდა, რომ საკუთარ ნებაზე მიშვებულს საკუთარი სამშობლო თავისუფლად გვეპარცვა და თავისუფლად გვენგრა.

დამოუკიდებლობის მიღე-

ბით უცებ გაცხადდა, რომ დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის უვარგისები და მოუმზადებლები ვიყავით.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ თითქოს მაინც ვერ ავიდგით ფეხი და დამოუკიდებლად სიარული ვერ ვისწავლეთ.

უფრო ზუსტად, იმ უზნეო ბავშვს ვგავართ, რომელმაც სიარული კი იცის, მაგრამ მაინც ურჩევნია, სხვას დაეყრდნოს და სხვამ ატაროს.

ხშირად გაიგონებთ: რა მოგვიტანა ამ დამოუკიდებლობამ? ტერიტორიის 20% დაკარგეთ, მოსახლეობის ერთი მესამედი ქვეყნიდან გაიქცა, გავღარიბდით, გავღატაკდით, წავხდით და გავფუჭდით.

დიახ, ეს ასეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლა შევწყვიტოთ, ხელი ჩავიქნიოთ და ახალ პატრონებს ჩავბარდეთ.

როგორც დასაწყისში ვთქვი, დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი.

დამოუკიდებლობისთვის ყოველდღე უნდა იბრძოლო, დამოუკიდებლობა ყოველდღე უნდა მოიპოვო, რომ არასოდეს არ დაკარგო.

ეს მარადიული და უწყვეტი პროცესია, რომელიც არასდროს მთავრდება და რომელიც მუდმივ თავდადებას და თავგანწირვას მოითხოვს.

თუ ასე არ მოხდა, მაშინ დამოუკიდებლობა შეიძლება დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზი გახდეს და უცებ აღმოაჩინო, რომ კვლავ უღელი გადგას მრავალჭირნანს კისერზე.

ნუ ინუგეშებ თავს იმით, რომ ეს ახალი უღელი, წინა უღლისგან განსხვავებით, ოქროთია მოგარაყებული.

უღელი უღელია, გინდ ოქროსი იყოს, გინდ — თუჯის.

დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ, ძვირფასო ქართველებო!



„რა არის იგი სინათლე“

გოლთიანა მონასტროს მოსახლეობის და მოსახლეობის დღის აღსანიშნავ ზეიმზე წუ წახვალთ, ჩვეთა მოღიბო. დამოუკიდებლობის დღე გააუქმეთ უკვე, ბატონო ვარლამ თუ არსებული ხელისუფლება დაახებით და აღლუმს თქვენ იბარებთ?



ებით, 10 მილიონი ლარია და-ხარჯული. კარგი, ვთქვათ, არ არის 10 მილიონი, მაგის ნახევარია, იმ ნახევარის ნახევარი, ჰო, მაგრამ ეს ნახევარის ნახევარიც რომ მილიონებს ურტყამს? ამ მილიონების გამღებია ჩვენი ღარიბი ემიგრაცია? ასე რომ, მთავარ დამფინანსებლად ემიგრანტების დასახელება, მე მგონი, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ნამდვილი დამფინანსებლების ვინაობის დამალვას ისახავს მიზნად. არ მომეწონა, ძალიან არ მომეწონა, უაღრესად უსიამოვნო გრძობები აღმძრა აქციის მონაწილეთა ულტიმატუმებმა ხელისუფლების მისამართით — ხვალ 12 საათამდე გაძლევთ დროს, წამში ჩაირთო. თუ ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება, მთელი ქალაქის პარალიზებას მოვახდენთ, — რომ იქაინებოდნენ აქციის ორგანიზატორები. არ შეიძლება საკუთარი სახელმწიფოს ხელისუფლებას ასეთი ტონით ვლაპარაკო, არ შეიძლება საკუთარ დედაქალაქს და მის მილიონობით მოსახლეობას პარალიზებით დაემუქრო. ისიც გაუგებარი და სასაცილოა, როცა ამ მრავალრიცხოვანი მიტინგის მთავარ მოთხოვნად ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას გადადგომა რომ სახელდება. თითქოს მხოლოდ ნათია თურ-

ნავა განკარგავს ამ ქვეყნის ბედ-ილბაღს. გადადგება თურნავა და ყველაფერი გასწორდება?! არც ის მომეწონა, გოლთიანა-მა მოსახლეობას რომ მოუწოდა, დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ზეიმზე წუ წახვალთ, ჩვენთან მოდიეთო. — დამოუკიდებლობის დღე გააუქმეთ უკვე, ბატონო ვარლამ თუ არსებული ხელისუფლება დაამხეთ და აღლუმს თქვენ იბარებთ? „რა არის იგი სინათლე, რასაც ახლავს ბნელია“. — ბრძანა პოეტმა. იმ სინათლის გვერდით, რომლის სახელითაც ნამოხვანჰესის მოწინააღმდეგეები გვესაუბრებიან, რაღაც ბნელი და დაფარული სილუეტები იკვეთება. ვარლამ გოლთიანის გამოსე-

ნამოხვანჰესთან დაკავშირებული აშკარა გასული საუკუნის 90-იანი წლები გამახსენა, როცა პატრიოტული გრძობებით აღტყინებული ადამიანები ხუდონჰესის მშენებლობას აპროტესტებდნენ და იმდენი ჰქნეს, რომ სანახევროდ აშენებული ჰესის მშენებლობა გააჩერებინეს. ხუდონჰესი დაკონსერვდა და ასე დაკონსერვებული სახით შემოგვრჩა დღემდე, როგორც წინდაუხედაობის და მავნებლობის სიმბოლო, რომელმაც ქართული სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებას სერიოზულად შეუშალა ხელი. როცა პატრიოტულმა ვენბათაღლევებმა გადაიარა და დაბანგული გონება გადაგვეწმინდა, აღმოჩნდა, რომ ამ პროტესტის უკან მხოლოდ პატრიოტული გრძობე-

90-იანი წლების დრამატული ისტორია დღესაც და რაღაც უხილავი ძალები ისევ ხომ არ ცდილობენ, დააბრკოლონ საქართველოს სწრაფვა ენერგოდამოუკიდებლობისკენ? ამ ეჭვის საფუძველს მხოლოდ ნამოხვანჰესის საწინააღმდეგო აქციები არ მაძლევს. ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ მიმართულმა ქმედებებმა კარგა ხანია ორგანიზებული, კამპანიური ხასიათი მიიღო. ფაქტობრივად, ებრძვიან ყველანაირი ჰესის — დიდის თუ პატარის, მშენებლობას, ებრძვიან სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა მოტივით, სახელმწიფო კი ვერ ახერხებს წინ აღუდგეს ამ აშკარად ანტისახელმწიფოებრივ, ქვეყნის განვითარებისთვის უკიდურესად სახიფათო და საშიშ პროცესს.

ერთადერთი, რაც საქართველოში არ ფინანსდება, სამშობლოს სიყვარულია. სამშობლოს სიყვარული რომ ფინანსდებოდეს, მე და ჩემისთანები ღარიბ-ღატაკები არ ვიქნებოდით, ჩემო ვარლამ. — ემიგრანტები გვაფინანსებენო, — ბრძანებს ვარლამი. — რომელი ემიგრანტები, ის ემიგრანტები ხომ არა, „პროლეტარ“ სააკაშვილს რომ უგროვებდნენ ფულს? რა სჭირთ ამ ემიგრანტებს, მშენებლობის გასაჩერებლად რომ იხდიან მილიონებს, არ შეიძლება ეს მილიონები რაღაცის ასაშენებლად გაიღონ? უხეში დაანაგარიშებით, ამ 210 დღის განმავლობაში, რაც რიონის ხეობის მცველების აქციები მიმდინარეობს, დაახლო-



ბი კი არა ერთ-ერთი ჩვენი მეზობელი ქვეყნის ბიზნეს-ინტერესები იდგა, რომელიც რეგიონში ენერგეტიკის დარგში ლიდერობისკენ მიისწრაფვოდა, ხოლო ხუდონჰესის, როგორც სერიოზული კონკურენტის არსებობა, ამ მიზნის მიღწევაში ხელს უშლიდა. აი, ასე, ქართველი პატრიოტების დახმარებით, მოიშორეს და საკუთარი ხელით მათვე დაამარხინეს კონკურენტი ობიექტი ჩვენმა ჭკვიანმა მეზობლებმა. ნამოხვან ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეების ქმედებებს რომ ვუყურებ, რატომღაც ეჭვი მდრდნის — ხომ არ მეორდება

საზოგადოების დიდ ნაწილს აწუხებს კითხვა: ვინ დგას ნამოხვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეების უკან? ვისგან იმართება და ვისგან ფინანსდება ეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი აქციები? — ჩვენს უკან მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს სიყვარული დგას. — ირწმუნებიან აქციის ლიდერები. კი, ბატონო, სამშობლოს სიყვარული გასაგებია, მაგრამ ვინ იხდის იმ მილიონებს, რაც შეიძლება თვის განმავლობაში ამ აქციების და მიტინგების შესანახად იყო საჭირო?



ნები არ შესრულდება, მთელი ქალაქის პარალიზებას მოვახდენთ, — რომ იქაინებოდნენ აქციის ორგანიზატორები. არ შეიძლება საკუთარი სახელმწიფოს ხელისუფლებას ასეთი ტონით ვლაპარაკო, არ შეიძლება საკუთარ დედაქალაქს და მის მილიონობით მოსახლეობას პარალიზებით დაემუქრო. ისიც გაუგებარი და სასაცილოა, როცა ამ მრავალრიცხოვანი მიტინგის მთავარ მოთხოვნად ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას გადადგომა რომ სახელდება. თითქოს მხოლოდ ნათია თურ-

ნები ერთი ერთში იმეორებს პოლიტიკაში ახლახან შემოსული ერთი პირის ტექსტებს. თითქოს ამ პიროვნების სული ჩასახლებულა ვარლამში და ვარლამის პირით ის ლაპარაკობს. ვისზეა საუბარი და რა პოლიტიკური კავშირები იკვეთება ასპარეზზე ამ ახლადგამოჩენილ მოძრაობასა და ახლადგამოცხადებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის, ამაზე „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერში მოგახსენებთ. პასტანო ხარჩილაშა

„ქართულ ოცნებას“ ნაგაზის უფლება არ აქვს, რადგან მისი ნაგაზით საქართველო ნაგაზს!

„ქართული ოცნება“, არ გაბედო, 43%-ზე ნაკლები მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში! — ასეთ მოწოდებას წავაწყდი ამასწინათ სოციალურ ქსელში.

ამ მოწოდებას მეც მინდა შევუერთო ხმა და ჩემი მხრიდან დაეძინო — „ქართულ ოცნებას“ უკან დახევის უფლება არა აქვს, რადგან მის ზურგს უკან ისეთი მგლები და ტურები არიან ჩასაფრებულნი, ქვეყანას ყელს გამოლადრავენ.

— თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ 43%-ზე მეტი რომ მიიღოს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა შეიძლება ამას მოჰყვეს? ისე დაიწყება საუბარი იმის შესახებ, რომ არჩევნები გაყალბდა, რასაც აუცილებლად მოჰყვება საპროტესტო აქციები „ნაციონალისტების“ და სხვა ოპოზიციური პარტიების მონაწილეობით. ისე უკიდურესად დაიძაბება სიტუაცია, ისე



ეს ზეწოლით და დირექტივებით მიღწეული თანხმობა კიდევ უფრო უარეს ჩიხამდე მიგვიყვანს, საიდანაც გამოსვლა შეიძლება შეუძლებელი გახდეს, თუმცა მერე რა, ჩვენ ხომ შეჩვეულები ვართ ასეთ ყოფას — ერთი ჩი-

„ქართული ოცნება“ კალაძეს თბილისის მერობის კანდიდატად.

ხმები ვრცელდებოდა, კალაძე საერთოდ ტოვებს „ქართულ ოცნებას“ და ისრაელში გადადის საცხოვრებლად.

ისრაელი იმიტომ სახელდება, რომ ისრაელი არ გადასცემს თურმე მის ტერიტორიაზე მისი მფარველობის ქვეშ მყოფ პირს სხვა სახელმწიფოს, მათ შორის არც იმ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც შეიძლება ეს პირი იყოს.

დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გახდა კალაძის ავადმყოფობის ამბავიც — კალაძე, სინამდვილეში, ავად არ არის, ის, უბრალოდ, ჩამოაშორეს თანამდებობას და აიძულეს, სახლში დამჯდარიყო.

ცოტა ხანში გაირკვა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილისგან შორს იდგა, თუმცა კახა კალაძე, ჯერჯერობით, მაინც არ წარუდგენიათ ოფიციალურად თბილისის მერობის კანდიდატად.

ამასობაში საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ასეთი განცხადება გააკეთა: კახა კალაძეს დიდ პატივს ვცემ და მის საქმიანობას დადებითად ვაფასებ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ.

ცდებით თქვენ, პატივცემულო, ზოგადად შეუცვლელი ადამიანებიც არსებობენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ კონკრეტულ სიტუაციაში, ამ კონკრეტულ მოცემულობაში კი კახა კალაძის კანდიდატურა სწორედაც რომ შეუცვლელია, რადგან, უეჭველია, კალაძე დიდი

უპირატესობით მოუგებს ყველა კონკურენტს.

თუ ვინმეს ხელს აძლევს, რომ კალაძემ კენჭი არ იყაროს თბილისის მერობაზე, ეს არის ოპოზიცია, რომელსაც ნამდვილად არ ჰყავს ისეთი ფიგურა, რომელიც ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს კალაძეს.

კახა კალაძის მონაწილეობა თბილისის მერობის არჩევნებში, ეს ნიშნავს ოპოზიციის გარდაუვალ, გარანტირებულ დამარცხებას.

სწორედ აქ ხომ არ არის ძალის თავი დამარხული, აქ ხომ არ იმალება გასაღები იმ ორჭოფული ვითარებისა, რაც ბოლო ხანებში კახა კალაძის გარშემო შეიქმნა?

იმის გამო, რომ ოპოზიცია სუსტი და არაკონკურენტუნარიანია, მმართველი გუნდი ხომ ვერ დაიწყებს საკუთარი ძალების ხელოვნურად შეზღუდვას და ხელებზე ბორკილების დადებას, რომ ოპოზიციამ როგორმე წარმატებას მიაღწიოს?

გამარჯვება თბილისში, სადაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს, მნიშვნელოვანი და საჭიროა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გამარჯვება პარტიის საერთო ყულაბაში სერიოზულ წვლილს შეიტანს, არამედ იმიტომაც, რომ ამ გამარჯვებით კიდევ ერთხელ გაქარწყლდება ოპოზიციის მიერ შემოგდებული ვერსია, თითქოს 31 ოქტომბრის არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ გააყალბა.

ვთქვათ პირდაპირ და გულახდილად: „ქართულ ოცნებას“

შეიძლება ბევრი ღირსეული და კვალიფიციური წევრი ჰყავდეს, მაგრამ თბილისის მერობის კანდიდატი ნამდვილად არ ჰყავს.

ეს ფაქტია და ამ ფაქტის იგნორირებამ შეიძლება „ქართული ოცნების“ ამომრჩევლები უკიდურესად გააღიზიანოს და ამ გაღიზიანებამ არა მარტო თბილისში, არამედ სხვაგანაც, უარყოფითი როლი ითამაშოს.

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ არის ჩვეულებრივი არჩევნები.

ამ არჩევნებში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქვეყნის მომავალი, მისი განვითარების პერსპექტივები დევს სასწორის პინასზე.

მთავარი პასუხისმგებლობა ამ პროცესებზე, ცხადია, „ქართულ ოცნებას“, როგორც მმართველ პოლიტიკურ ძალას, ეკისრება.

სწორედ ის არის მთავარი პასუხისმგებელი ქართველი ხალხის წინაშე, ქართველი ხალხი კი არც „ქართული ოცნების“ ან „ნაციონალისტების“ და სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერები არიან მხოლოდ, ქართველი ხალხია ის მილიონამდე ადამიანიც, რომელსაც 31 ოქტომბერს არც „ქართული ოცნებისთვის“ მიუცია ხმა და არც ოპოზიციისთვის, მაგრამ არა იმიტომ, რომ საქართველო არ უყვარს და საქართველოსთვის გული არ ეწვის...

„ქართული ოცნება“ პასუხისმგებელია მის წინააღმდეგ ყველაზე რადიკალურად, ყველაზე აგრესიულად განწყობილი მოქალაქეების წინაშეც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო დღეს შეცდომებს უშვებენ არჩევნებში, მაგრამ ხვალ და ზევ აუცილებლად გამოერკვევიან და თუ ვინმესთან ექნებათ პრეტენზიები, პირველყოვლისა, ექნებათ „ქართულ ოცნებასთან“, რომელმაც ამ შეცდომებისგან მათი დაზღვევა და დაცვა ვერ მოახერხა.

„ქართულ ოცნებას“ წაგების უფლება არ აქვს, რადგან მისი წაგებით საქართველო წააგებს...

პასტანო ხარჩილაშვილი



გაჩნდება დესტაბილიზაციის და სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე, რაც პოლიტიკურ კრიზისამდე მიგვიყვანს და ეს ძლივს დაშოშმინებული და დალაგებული მდგომარეობა ისე დასალაგებელი შეგვექმნება. ამიტომ, იქნებ, სჯობდეს, არ მოიგოს „ქართულმა ოცნებამ“ ეს თვითმმართველობის არჩევნები, რთაც დიდ სამსახურს გაუწევს ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნებას. არ არის გამორიცხული, ასეთი მოსაზრებაც არსებობდეს. არც ის არის გასაკვირი, ჩვენ დასავლეთელი მეგობრებიც ფრთხილობდნენ, რომლებსაც, რაც მართალია, მართალია, ბევრი სიმწარე ვანახეთ და ბევრი ვარბენინეთ აქეთ-იქით, რომ ეს ბარიერგადალახული და ბარიერთან ერთად ნამუსგადალახული ოპოზიციური პარტიები როგორმე პარლამენტში შებრძანებულიყვნენ.

ცხადია, ახალ დავიდარაბაში და ახალ აყალმაყალში თავის გაყოფა არავის უნდა და ყველას ურჩევნია, ერთხელ ადებულ გეზს მიჰყვეს.

ეჭვი მაქვს, რომ ეს ხელოვნურად შეკოწიწებული ერთობა,

ხიდან რომ გამოვალთ, მეორეში შევყოფთ თავს, მერე — მესამეში და ასე ვცხოვრობთ ჩიხიდან ჩიხამდე.

პირველი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება არსებობდეს რაღაც წინასწარი სცენარი, რომლის მიხედვითაც „ქართულმა ოცნებამ“ მაინც-დამაინც არ უნდა იაქტიუროს თვითმმართველობის არჩევნებში, მაშინ გაჩნდა, როცა კახა კალაძის სახელის გარშემო რაღაც უცნაური ჭორები დატრიალდა და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საკითხი, წარადგენდა თუ არა



რას გვერჩის „გირჩი“?

იაზო ხვიჩიაშვილი და ვახო მებრალიშვილი, სანამ პარლამენტში შემოქუჩუსდებოდით, თქვენ თავი ხომ არაფრისთვის მიბირტყამთ, საყვარლებო?

კარგა ხანია ვიცით, რომ „გირჩი“ გვერჩის, თუმცა გვეგონა, პარლამენტში რომ შევლენ, მერე ცოტა მოეგებიან ჭკუასო, მაგრამ პირიქით ხდება — „გირჩი“ კიდევ უფრო მწარედ ერჩის ქვეყანას და, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, — მანებლობს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

იმდენად ღიად ანტისახელმწიფოებრივია, რასაც „გირჩი“ აკეთებს. ასე, მაგალითად, არ გინდათ ჯარში (ქართულ ჯარში — ვ.ხ.) წახვიდეთ, მიხვალთ „გირჩის“ ოფისში, გადაიხდით 70 ლარს და უპრობლემოდ მოგცემენ ცნობას, რომ თქვენ სასულიერო პირი, ეპისკოპოსი, ხართ და თქვე-

ნა „გირჩის“, მხოლოდ ამის გამო არ უნდა დაეშვათ იგი არჩევნებზე, მაგრამ საქართველო ხომ ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი მოსულა...

უცნაური ულტიმატუმი წამოაყენა „გირჩმა“, როცა პარლამენტში ბარიერგადალახული პარტიების შესვლა-არშესვლის შესახებ დიდი დებატები იმართებოდა.

— სანამ „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში არ შევა, ჩვენ პარლამენტში არავითარ შემთხვევაში არ შევალთო, — განაცხადეს „გირჩის“ თავკაცებმა, იაგომ და ვახომ, თუმცა, მოგვიანებით, გადაწყვეტილება შეცვალეს და პარლამენტში მაინც შევიდნენ.

შევიდნენ და ახლა ახალი მოთხოვნა წამოაყენეს: თუ 2019 წლის 20 ივნისთან დაკავშირებით ამნისტიას ვაცხადებთ, მაშინ 7 ნოემბრის და 26 მაისის ამბებთან დაკავშირებითაც გამოვაცხადოთ ამნისტიაც, — რითაც, ეს უკვე მერამდენედ, კოჭი გაუგორეს „ნაციონალურებს“.

იაგო და ვახო, თქვენ, სინამდვილეში, „ნაცები“ ხართ და „გირ-



და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცესო.

მოკლედ ვერ ძლებს „გირჩი“ „ნაციონალურების“ და სააკაშვილის გარეშე, ხან აქედან მოუვლის, ხან იქიდან და ბოლოს მაინც „ნაცებს“ და მიშას მიადგება, თითქოს მათ გარეშე საქართველო დაიღუპება.

გონებაჩლუნგობის და ჭკუასუსტობისა არაფერი ეტყობა „გირჩის“ და მის ორ თავკაცს, იაგოს და ვახოს, რომ ეს სათაკილო ამბავი — „ნაცების“ აპეკუნობა — გონებაჩლუნგობით მოსდიოდეთ.

ნიღბები კი აქვთ მორგებული, მაგრამ, ამ დროს, შესანიშნავად იციან, როგორ დააზიანონ და როგორ დაასწავლონ საქართველო.

ვინ აფინანსებთ ამათ, ვინ დგას ამათ უკან, ვის დაკვეთას ასრულებენ ეს თვალთმაქცები და ფარისევლები?

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად ვის სამსახურში დგანან ეს მანებელნი, ვისი ჯაშუშები და ვისი აგენტები არიან, მაგრამ ერთი რამ ცხადია: „გირჩი“ იმ მტრის საქმეს აკეთებს, იმ მტრის



„გირჩის“ პოლიტიკური პლატფორმა, მისი იდეოლოგია, თავიდანვე მანებლობაზე და ქართული სახელმწიფოს ღია მტრობაზე იყო აგებული, თუმცა ქართველი საზოგადოება მათ საქმიანობას მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა — არასერიოზული ადამიანები არასერიოზულ რადიკალურად მიედ-მოედებიან და იყვნენ და იბოდიდდნენ, რამდენიც უნდათ, — ასე ფიქრობდა ბევრი, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, ამ არასერიოზულმა პარტიამ ბარიერი გადალახა და პარლამენტში შევიდა.

მსოფლიოში არ მეგულება სახელმწიფო, გარდა საქართველოსი, რომელიც „გირჩის“ მაგვარ პარტიას პარლამენტში შეუშვებდა კი არა, არჩევნებზე დაუშვებდა,

ნი რელიგიური შეხედულებების გამო, უფლება გაქვთ, სამხედრო სამსახურზე, ანუ საკუთარი ქვეყნის დაცვის მოვალეობაზე, უარი თქვათ.

ზუსტად არ ვიცით, რამდენ ადამიანს აერთიანებს „გირჩის“ „არმია“, ფაქტობრივად, დეზერტირების თავშესაფარი, თუმცა, როგორც ამბობენ, ამ „არმიაში“ რამდენიმე ათასი ქართველი ახალგაზრდაა გაწევრიანებული.

საქართველო საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანაა, რომლის ოცი პროცენტი ოკუპირებულია და ასეთ ვითარებაში ახალგაზრდებს დეზერტირობისკენ რომ უბიძგენ, რა არის ეს, თუ არა ქვეყნის მიზანმიმართული მტრობა და ღალატი?!

სხვა რომ არაფერი გაეკეთებო-



ჩი“ ისე, მეტსახელად გქვიათ თუ რაშია საქმე?

მანამდე იაგომ ბრძანა: სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლის

გონებაჩლუნგებს კი არა, უფრო დახვეწილ, კარგად შენიღბულ არაშხადებს ჰგვანან ესენი, რომლებსაც ცირკის მასხარების

წისქვილზე ასხამს წყალს, რომელსაც ძალიან უნდა, რომ საქართველოს საზღვრებთან მამულისთვის თავდადებული ვაჟკაცების ნაცვლად იაგოს და ვახოს დეზერტირების „არმია“ დახვდეს, რომელიც შარვლებს ჩაიხდის, ზარბაზნის ნაცვლად მტერს უკანალს მიუშვერს, ერთს „მრისხანედ“ მიაპუკუნებს და ვალმოხდილი მოცოცხავს „გირჩის“ ოფისისკენ, რომ მთავარსარდალ იაგოს და პოლიტხელ ვახოს გამარჯვება უპატიაკოს.

ერთი კი მამაპაპური პანდური უნდა ამოარტყა ამათ და პარლამენტიდან გამოყარო, მაგრამ ვინ არის ამის გამკეთებელი?

პარლამენტიდან გამოყარა კი არა, რიგი უდგათ იაგოს და ვახოს — ხან ტელევიზიები ეძახიან ჭკუის საკითხავად და სათათბიროდ, ხან — საელჩოები.

არ შეიძლება, ერთხელ უშიშროების სამსახურმაც დაუძახოს ამ მანებებს და ჰკითხო: ვინ ხართ თქვენ და რას ერჩით ამ ქვეყანასო?

„საერთო გაზეთი“



გიორგი სახოკია:

ერთადერთი სურვილი მქონდა, გაქვს და შექნება - დაბრუნდნენ გურულები გურიაში და არ დაიხლოს რეგიონი

2014 წლიდან გიორგი სახოკია მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო ადმინისტრაციის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, საჯარო ინფორმაციის სამმართველოს უფროსი. 2013-2014 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოში შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი. აქვს კერძო სექტორში, ასევე არაერთ საერთაშორისო პროექტში, მათ შორის, მმართველ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

გიორგი სახოკია პროფესიით სამართალმცოდნეა, განათლება მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წლებულს თებერვალში გურიაში სახელმწიფო რწმუნებულად გიორგი სახოკია დაინიშნა. მის კარიერას თუ გადავხედავთ, ადმინისტრაციული საქმიანობის წარმატებით გაძლო არ უნდა გაუჭირდეს, მით უმეტეს, რომ ის კარგად იცნობს გურიას, გურულებს და მათ პრობლემებს.

ცენტრში ვესტუმრე. შეიძლება ითქვას, ამჯერად მართლაც გაუმართლა გურიას. თავისუფალი, კომუნიკაბელური, განათლებული, გონიერი, საქმის მცოდნე გუბერნატორი ჰყავს დღეს გურიის მხარეს.

ამაში თავადაც დარწმუნდებით, ბატონი გიორგი სახოკიას ინტერვიუს რომ წაიკითხავთ.

— ბატონო გიორგი, გილოცავთ ახალ, მეტად პასუხსაგებ პოსტზე დანიშნვას და პირდაპირ საქმეზე გადავალ: რა ამოცანები დგას თქვენ წინაშე, რა პრიორიტეტები გამოიკვეთათ თქვენი დანიშნვიდან სამი თვის მანძილზე?

რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურას: წელს გურიაში მიმდინარეობს, უპრეცედენტო მასშტაბის სამუშაოები. ეს არის, საერთო ჯამში, 70 კმ გზა, რომელიც ახლა, ამ დღეებში გაიხსნება. ეს არის გზები, რომლებიც გახლავთ ძირითადი დამაკავშირებელი მაგისტრალები.

უჭრელი პრობლემა და მიხარია, რომ გასულ კვირას მივალწიეთ შეთანხმებას. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. როგორც კი პროექტი დასრულდება, მომენტალურად დავიწყებთ გზის განახლებას ჩონხატაურის რაიონის სოფლებში.



თუნდაც კერძო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით — განვითარებისთვის, ჩვენი გურული ოჯახების კეთილდღეობისთვის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის. ინფრასტრუქტურაში ვგულისხმობ გზებს, გაზს, წყალს, ელექტროენერჯიას. ასევე მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და უსაფრთხო გარემოს შექმნა. ამ მიზნით აპრილის დასაწყისში დავამონტაჟეთ სექციური კამერები, რომლებიც ავტომობილების სინქარეს აფიქსირებენ. კამერები დამონტაჟდა ოზურგეთის მთელ მუნიციპალიტეტში. ვაპირებთ, ეტაპობრივად, მთელი რეგიონი მოვიცვათ.

არ ვსაუბრობ იმ გზებზე, სოფლებს რომ აკავშირებს ერთმანეთთან. მე ვსაუბრობ მაღალი სტანდარტების გზებზე. მაგალითად, ჩონხატაურის მუნიციპალიტეტში გვაქვს სამი ლოკაცია. ერთი არის 23-კილომეტრიანი კურორტ ბაზმაროს გზის მონაკვეთი, რომელიც დაზიანებული გახლავთ და იგეგმება მისი სრული განახლება. სრულ განახლებაში არ ვგულისხმობ გზის ზედაპირს და ასფალტის საფარს, არამედ სანიაღვრე არხებსაც, დამცავ ჯებირებსაც და ყველაფერს, რაც არის საჭირო და აუცილებელი თანამედროვე სტანდარტების გზისთვის.

ასევე, გასულ კვირას, ლანჩხუთთან დაკავშირებით, შეთანხმება იქნა მიღწეული. რაიონის 12 სოფელში სრულად გაკეთდება შიდა გზები.



— შეკვეთილი-ურეკის ნაწილი, მოეწვობა შიდა გზები და ა. შ. თანხები, რომლებიც გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის გვეჭირდება, გამოყოფი ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ერთი მიზეზის გამო: რეგიონები უნდა გაძლიერდეს!

ზარიხსიან ინტერნეტმომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უკვე არის შესაძლებელი.

აქვე გავამახვილებ ყურადღებას პრემიერის მიერ გაუღებულ პროგრამაზე: „განახლებული რეგიონები“. ეს არის პროექტი, რომელიც, ფაქტობრივად, ახალ სიცოცხლეს შესძენს რეგიონების ცხოვრებას.

— რა თანხებით, ვისი დახმარებით განხორციელდა ეს პროექტი?

ჩონხატაურის, ოზურგეთის და ლანჩხუთის ცენტრები გახდება უფრო თანამედროვე, როგორც დიზაინით, ასევე ტექნოლოგიით ისე, რომ სხვაობა, რომელიც არსებობს თბილისსა და რეგიონებს შორის, მაქსიმალურად შემცირდეს. რეგიონებში უნდა იყოს ისეთივე კომფორტული ინფრასტრუქტურა, როგორც არის ცენტრალურ ქალაქებში.

— ძირითადი ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. მთავარი ხაზებიდან ბოლო წერტილამდე, ანუ აბონენტამდე მიყვანამდე სამუშაოების განხორციელების ვალდებულება კერძო კომპანიებს გადაეცათ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინტერნეტმომსახურების თანხა გაძვირდება, პირიქით, კონკურენცია იქნება კომპანიებს შორის.

ამას ემატება საინტერესო პროექტი „ლოჯინ-ჯორჯიას“ ფარგლებში, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს თაოსნობით არსებობს და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ფუნქციონირებს.

მალიან ამბიციური გეგმები გვაქვს და რაც ჩამოვთვალებ, გზების გარკვეული ნაწილის გამოკლებით, წლებულს უნდა დასრულდეს.

პროექტი გულისხმობდა ინტერნეტიზაციას ქალაქ ოზურგეთსა და მის მიმდებარე 50-მდე სოფელში. სრულად დაიფარა ქალაქი ოზურგეთი და მიმდებარე სოფლები ოპტიკური ინტერნეტით.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით კეთდება გომის მთის განაშენიანების გეგმა, რითაც ჩვენ შევძლებთ გომის მთის, როგორც სრულად აღჭურვილი კურორტის ფუნქციონირებას.

— ზღვისპირა კურორტებთან დაკავშირებით რა გეგმები არსებობს?

— ურეკზე გავამახვილებ ყურადღებას, სადაც ბოლო ხანებში პრობლემები შეგვექმნა კონსტრუქტორ კომპანიასთან. დღეისათვის ეს პრობლემა აღმოფხვრილია. ურეკში ადგილობრივებისთვის სკოლის მშენებლობა გვექონდა დაგეგმილი, რასაც უზრუნველყოფს ახალი კონსტრუქტორი და ეს პრობლემაც უახლოეს თვეებში, ვფიქრობთ, რომ მოგვარდება.

სკოლაზე ვსაუბრობ და ბარემ, აქვე ვიტყვი: რეგიონში პრიორიტეტია ახალი სკოლების მშენებლობა. ყველაზე დიდი სკოლა ნასაკირალში შენდება. ის 600 მოსწავლეს გათვლილი. ეს არ არის ძველი, დიდი სკოლა, რომელიც რემონტდება — ჩვენ ვაშენებთ ახალ სკოლას. მოგეხსენებათ, დიდი სოფელია ნასაკირალი. მისი ახალი სკოლა უპასუხებს ყველა თანამედროვე სტანდარტს, იქნება

უახლესი ტექნიკით აღჭურვილი. როგორც ვითხარით, ეს იქნება ყველაზე დიდი სკოლა, რომლის აშენებასაც ვგეგმავთ ოზურგეთის რაიონში, თუმცა აიგება შედარებით პატარა სკოლებიც, სადაც 200-250 მოსწავლე ისწავლის. მაგალითისთვის დავასახელებ, ჩოხატაურის რაიონში, სოფელ გუთურის სკოლას, რომელიც უკვე აშენდა და ამ ეტაპზე ინვენტარის მიწოდება მიმდინარეობს. ასეთივე სიტუაციაა სოფელ ერკეთის სკოლასთან დაკავშირებითაც.

საუკეთესო სკოლის შენობა კეთდება ლანჩხუთის რაიონში. ახლახან საღებავის ფერებზე შევთანხმდით. ასე რომ, ყველა დეტალის ყურადღების ცენტრში ვარ. მინდა, ჩემმა გურია მეთი სარგებელი და სიკეთე მიიღოს.

— არ შემოიძლია, არ გკითხვით სავოლანტაჟო პანდემიასთან დაკავშირებით, რა მდგომარეობა ამ კუთხით რეგიონში?

— გურია ამ მხრივაც გამოირჩევა რამდენიმე ნოვაციით, რომელიც სხვაგან არსად არ არის და არის მხოლოდ გურიაში.

რეგიონულ ცენტრებში — ჩოხატაურში, ოზურგეთში და ლან-

ღალი მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩევიან ამ თვალსაზრისით.

— სანამ მოხვიდრით ამ პოზიციებზე, იყავით თუ არა ინფორმირებული, რა პრიორიტეტებზე მოგიწევდათ მუშაობა?

— მე ვმუშაობდი მთავრობის ადმინისტრაციაში პასუხსაგებ თანამდებობებზე და ვიცოდი, რა პრობლემები ჰქონდა რეგიონს. პრობლემების შესახებ სამსახურებრივი ფუნქციების გარდა, ისედაც იყო ცნობილი ჩემთვის, რადგან გურიაში, სოფელ ხიდისთავში მე მაქვს სახლი, სადაც ყოველ ზაფხულს დავდიოდი, ვხედავდი პრობლემებს, ვხვდებოდი ხალხს და პირველწაროდან მქონდა ყველანაირი ინფორმაცია.

თუმცა, ძირითადი პრობლემები, რაც არის გურიაში, არის საქართველოს სხვა რეგიონებშიც, ასე რომ, გურია ამ კუთხით განსაკუთრებული არაა. აქაც პრობლემა დღეს უმუშევრობა, სოციალური ფონი, მოსახლეობის გადინება, რაც ძალზე სამწუხაროა.

დღეს ძალიან ბევრ ადამიანს აქვს სურვილი, იცხოვროს სოფლადა, თუ ექნება ინტერნეტზე წვდომა, კომფორტული ინფრას-

ტრუქტურა, დენი, გაზი, წყალი და ნორმალური გზა.

აღბათ, იცით, რომ მიმდინარეობს ავტობანის მშენებლობა და წლეულს, წლის ბოლომდე, დამატებით, 7 კმ-იანი გზა ჩაბარდება მოსახლეობას, ეს არის გზა შეკვეთილი-ქობულეთის მიმართულებით, რაც კიდევ ერთი დამატებითი საშუალება იქნება წვდომის დიდ ადმინისტრაციულ ცენტრებთან — ქუთაისთან, ბათუმთან, თბი-

ლისთან. ეს საშუალებას მისცემს მოსახლეობას გურის რეგიონში დაიწიოს ან გააგრძელოს საქმიანობა.

დიდი მოთხოვნაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტებზე და, კერძოდ, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის პროექტებზე. სასიხარულოა, რომ სამინისტრო ასეთ ინიციატივებზე მყისიერად რეაგირებს. კერძოდ, გამოვეყოფი ლურჯი მოცვის განვითარების პროგრამას და ჩაის ადღევის პროგრამას.

ახლახან ვეროკავშირის დაფინანსებით სოფელ ბახეში გაკეთდა „ჩაის გზა“. ამ სოფელში არის მეწარმე, რომელმაც ადადგინა ძველი პლანტაციები, ჩაისაც აწარმოებს და ტურისტებსაც იღებს. მან ძალიან საინტერესო ლოკაცია შეიქმნა ამ კუთხით რეგიონში. ეს არის კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ეხმარება გზა სოფელს, საწარმოს, წარმოებას, საქმიან ადამიანს წარმოების განვითარებაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელმძღვანელობის მოვალეობაა, მოქალაქეს შეუქმნას ხელსაყრელი გარემო, რათა მან



ოზურგეთის განასჯელებული თმატრი

დაემატა შესაბამისი სივრცეები, მაგალითად, ექსპერიმენტული სცენა, ხმის ჩამწერი სტუდია, რადიოთეატრი. პირადად მე, ორიენტირებული ვარ ტექნიკურ ნაწილზე და მიმანია, რომ აუცილებელია თანამედროვე და გამართული ფუნქციის აპარატურული მხარე, სრული ციფრული მართვა სცენის, განათების, ხმის ჩამწერი მოწყობილობების. ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა, რომ თეატრი არ იყოს მხოლოდ თეატრი და დღეს ოზურგეთის დიდი ტრადიციების მქონე თეატრი არის კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრი, ისეთი, როგორც ეკადრებათ გურულეს.

— რა არის თქვენი ყველაზე დიდი ამოცანა ამ ეტაპზე, რისი გაკეთება გინდათ ყველაზე მეტად გურიის რეგიონისთვის?

— ერთადერთი სურვილი მქონდა, მაქვს და მექნება მანამ, სანამ არ განხორციელდება ის. ჩემი ოცნებაა — დაბრუნდნენ გურულეები გურიაში და არ დაიცალოს რეგიონი.

თამამად ვიტყვი: უამრავი რამის გაკეთება შეიძლება. დიდი პერსპექტივა აქვს, მაგალითად, ლურჯი მოცვის წარმოებას. არსებობს კომპანია „ეფკო“, რომელიც არის ერთ-ერთი მსხვილი კომპანია სხვა კომპანიებს შორის. „ეფკო“ „იუსაიდის“ დახმარებაც მიიღო, სარგებლობს სახელმწიფო პროგრამებით. საკუთრებაში აქვს 330 ჰა მიწის ნაკვეთი, რომლის 40 ჰექტარზე უკვე აქვთ გაშენებული მოცვის პლანტაციები.

— ლურჯი მოცვი გაკულტურებული გურული ტყის მოცვი?

— არა. ეს გახლავთ ამერიკული ჯიშის მოცვი, რომლის საბაზრო ფასი საკმაოდ მაღალია. გუ-

რიდან ბოლო წლებში გადიოდა ლურჯი მოცვი, ოღონდ დაუფასოებელი სახით. დღესდღეობით „ეფკოს“ შეუძლია ნეფლი მასლისგან პირდაპირ გასაყიდო პროდუქცია შექმნას — თავად აფასოებს, ფუთავს და ასე გადის ჩვენი მოცვი ფართო ბაზარზე.

როცა სახელმწიფო ხელს გიწყობს მაქსიმალური ლიბერალიზაციით, რომ თუნდაც მოცვი, თხილის პლანტაცია, სათბური მოაწყო, მეთი შანსი არსებობს, დამაგრდეს მოსახლეობა ადგილზე.

მაგალითად, თავად ლურჯი მოცვის ბუნებრივად გამოდინარე, 3-4 წელიწადში ნაყოფს სრულად რომ გამოიღებს, რეგიონიდან, ვთქვათ, მეზობელ თურქეთში სამუშაოდ წასასვლელად არავის ეცლება, რადგან თავად „ეფკოში“ დასაქმებულ ადამიანებს იმდენ თანხას გააუზღვიან, რამდენსაც თურქეთში სესონური მუშაობისას.

— ალპური მოცვი ხარობს ჩვენს ტყეებში. მაგალითად, როგორც ვიცით, კურორტ ბახმარში ის მრავალადაა.

— დიახ, დიახ, ალპური მოცვი გაცილებით ძვირადღირებული პროდუქტია. თუ არ ვცდები, ერთი კილოგრამის საბაზრო ფასი 20 ევროა, მაგრამ, ისევე მაგრამ — ბახმარში რომ ალპურ მოცვის მოუარო, გაახარო, გაამრავლო, უნდა იარო იქ ხშირად. რომ იარო, უნდა იყოს კარგი გზა, იყოს დენი, წყალი, გაზი, კომუნიკაცია რომ გქონდეს, გჭირდება ინტერნეტიზაცია. ამაზე ვსაუბრობ მე, როცა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ვლაპარაკობ.

რაც შეეხება ჩაის. მოგეხსენებათ, დიდი მოთხოვნით სარგებლობს ჩაი „გურიელი“, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება, დიდი და ამბიციური გეგმებიც აქვთ, რაც, აღბათ, სიურპრიზი იქნება მოსახლეობისთვის.

რაზეც ვისაუბრეთ, ეს აუცილებელი ფაქტორებია რეგიონის განვითარებისთვის, მაგრამ უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობა. ჩვენს ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ სრული და თანამედროვე განათლების მიღების შესაძლებლობა.

როგორ ხედავთ, გამოწვევა ბევრია, პრობლემებიც ბევრი, თუმცა დიდი იმედი მაქვს, ამ პრობლემებს დაეძლევთ გულმოდგინე შრომით, გურის მოსახლეობის მხარდაჭერით და ჩვენი ხელისუფლების თანადგომით.

სოფელ ნასაპირალის სკოლა



ჩხუთში ტესტირების გაკეთება შესაძლებელია 3-4 წერტილში. საერთო ჯამში, გვაქვს 10 წერტილი, სადაც შეუძლია მივიდეს მოქალაქე და ტესტირება გაიაროს. შევკრიბეთ მედიკოსები და მათთან შეთანხმებით, სოფლის ამბულატორიებში რომ გაკეთებულიყო ტესტირება, ჩავუტარეთ მათ სპეციალური ტრენინგები, სოფლის ექიმებს გავეფორმეთ შესაბამისი კონტრაქტები დაავადებათა კონტროლის ცენტრთან, მოვამარაგეთ ამბულატორიები ტესტირებისთვის. ამბულატორიები ჩართული არიან, ასევე, სკოლებისა და საბავშვო ბაღების ტესტირებაში.

ასე ხდება მხოლოდ გურიაში. საპილოტე პროგრამის ფარგლებში გააკეთეთ ეს და უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ კარგად მუშაობს აღნიშნული პროგრამა.

შედარებით მსხვილ დაწესებულებებში ადგილზე ვაგზავნი სპეციალისტებს, რომ ტესტირება ჩაუტარონ თანამშრომლებს.

ზოგად ეპიდვითარებაზე მკითხეთ და გიპასუხებთ, რომ განსაკუთრებით მძიმე კერები ამ ეტაპზე არ გვაქვს და არც ველოდებით გართულებებს, თუ ჩვენი მოქალაქეები გააგრძელებენ რეკომენდაციების დაცვას.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ გურულეები საკმაოდ მა-

მოახერხოს შესაძლებლობების რეალიზება სახელმწიფოს და საკუთარი თავის საკეთილდღეოდ.

— რამდენიმე დღის წინ ოზურგეთის თეატრის სრული აღდგენა დასრულდა. თეატრმა, ფაქტობრივად, ახალი სიცოცხლე შეიძინა.

— თეატრის რეაბილიტაცია მოახდინა ფონდმა „ქართუმ“ და ეს არ არის თეატრის მხოლოდ აღდგენა. ეს გახლავთ სრული რეკონსტრუქცია. შენობა გაფართოვდა,



ომი დათავრდა, მშვიდობის გაშინოდა, ხალხო!

დროებითი ზავის პირობებზე შეთანხმდნენ ახლო აღმოსავლეთში ისრაელის ხელისუფლება და ღაზის სექტორში მცხოვრები პალესტინელები, კონკრეტულად, მოძრაობა ჰამასის მებრძოლები. კონფლიქტი, რომელიც პოლიტოლოგებმა სამოქალაქო ომად შეაფასეს, 11-დღიანი ბრძოლების შემდეგ შეჩერდა. თუმცა რეგიონში მშვიდობის დამყარებამდე ჯერ საკმაოდ შორია. საერთოდაც, ამ ეტაპზე კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარება უტოპიად ჩანს. სამწუხარო ფაქტია, 2014 წლის შემდეგ წლებში შეიარაღებული დაპირისპირება ყველაზე სისხლიანი აღმოჩნდა — ორივე მხარეს დაღუპულია მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები, დანგრეულია საცხოვრებელი სახლები... ზარალის დათვლა ორივე მხარეს ახლა დაიწყო, რომელიც წინასწარი შეფასებით, კოლოსალური იქნება.

საბედნიეროდ, არ გამართლდა იმ პოლიტოლოგების ვარაუდი, რომლებიც რეგიონში ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას პროგნოზირებდნენ. ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაუს ღაზის სექტორში არც ქვეითი ჯარის შესვლის ბრძანება გაუცია და არც საზღვართან განლაგებული ჯავ-

ნებული ერების ორგანიზაციის უშიროების საბჭოს ოთხი დახურული სხდომა გაიმართა, სადაც მსოფლიოს საზოგადოება მხარეებს მშვიდობისკენ მოუწოდებდა, მაგრამ დაპირისპირებულმა მხარეებმა საერთაშორისო ორგანიზაციის აზრი არ გაითვალისწინეს. სავარაუდოდ, ბრძოლები კიდევ გაგრძელდება, ისრაელი სახმელეთო ოპერაციასაც განაზოგადებს, რომ არა ბაიდენის მხრიდან ისრაელის მიმართ ფაქტობრივი მუქარა.

კონფლიქტის განახლების მიზეზად აღმოსავლეთ იერუსალიმიდან არაბთა გასახლება ასახელებენ. პოლიტოლოგების შეფასებით, ეს გარემოება მხოლოდ საბაბი გახდა. პალესტინელმა რადიკალებმა 2014 წლის ომის შემდეგ ახალი ბრძოლისთვის საშუალება დაიწყეს, რაზეც უამრავი ფაქტი მეტყველებს. ღაზის სექტორში მცხოვრები პალესტინელები რეგულარულად იღებენ დახმარებას არაბული ქვეყნებისგან. გარდა ამისა, აშშ-ისგან ყოველწლიურად 400-450 მილიარდ დოლარს იღებდნენ. მართალია, დონალდ ტრამპმა შეუწყვიტა პალესტინელებს ფინანსური დახმარება მისი პრეზიდენტობისას, მაგრამ დაფინანსების სხვა წყაროები ჰქონდათ.



მორჩენებით) ცხოვრებას უბრუნდება. ისრაელში მოსახლეობის ნაწილი უკვე ზღვის ნაპირზე გავიდა დასახლებულადა. ღაზის სექტორში მეთევზეები თავიანთ საქმეს შეუდგნენ. მართალია, შიშით, მაგრამ მაინც თევზაობენ. ისრაელში არაბი მოსახლეობა აქციებს აწყობს, მაგრამ ეს შეიარაღებულ ბრძოლებთან რა მოსატანია. აქვე უნდა ითქვას, რომ კონფლიქტის მიმდინარეობისას 11 დღეში ისრაელის 16 მოქალაქე დაიღუპა. სამხედროების განცხადებით, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, მოსახლეობას დისციპლინა და პასუხისმგებლობა რომ არ გამოეჩინა — ყველამ იცოდა, რა უნდა მოემოქმედებინა განგაშის გამოცხადებისას.

მიღწეული დროებითი ზავის მიუხედავად, როგორც ჩანს, რეგიონში მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელდება, ორივე მხარემ უკვე აშკარად დაიწყო ახალი სისხლისღვრისთვის მზადება. ზავის შემდეგ ნეთანიაჰუმ განაცხადა: „...ისრაელმა მიაღწია ყველა დასახულ მიზანს“. ჰამასის მებრძოლებმა ღაზის სექტორში აღლუმი მოაწყვეს. რა აქვთ საზეიმო, გაუგებარია. ოფიციალური მონაცემებით 277 მშვიდობიანი მოსახლეობა დაღუპული, აქედან 70 ბავშვია. ჰამასის მტკიცებით, ათდღიანი კონფლიქტში პალესტინელებმა მიაღწიეს წარმატებას. ახლა ისრაელი აპირებს, მალე შეიძინოს აშშ-ისგან 735 მილიონი დოლარის ღირებულების უახლესი სამხედრო შეიარაღება. პალესტინელებს ირანის იმედი აქვთ. რა მოყვება გამაღებულ მილიტარიზაციას

რეგიონში, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ჰამასმა გარკვეული დივიდენდები მიიღო. ექსპერტებს აინტერესებთ, ახლანდელი კონფლიქტის გაღვივება იმიჯის ასამაღლებლად ხომ არ სჭირდებოდა ღაზის სექტორში ჰამასის ლიდერს ისმაილ ხანიას. ფაქტია, რომ განვლილმა ომმა ჰამასი არაბულ სამყაროში ერთგვარ ავტორიტეტულ ორგანიზაციად (თუნდაც ტერორისტულ, როგორც მთელ რიგ ქვეყნებში აღიქვამენ) აქცია. ამის გარდა, გააქტიურდნენ ასევე ტერორისტებად მიჩნეული „წამებულთა“ რაზმის წევრები, რომლებთანაც ბრძოლას დიდი დრო და ძალე შეალა პალესტინელების ლიდერმა მაჰმუდ აბასმა. მეზობელ ეგვიპტეშიც სიფრთხილით უყურებდნენ კონფლიქტის მსვლელობას, ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ და მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებით შემოიფარებოდნენ. ეგვიპტელთა სიფრთხილე გასაგებია. მათ „მუსლიმი ძმების“ გააქტიურება აშინებთ, ორგანიზაციისა, რომელმაც ქვეყანა 10 წლის წინათ სამოქალაქო ომის პირას მიიყვანა.

სამწუხაროდ, აშშ-ში განხორციელდა არაბებისა და ებრაელების დაპირისპირებები. ასევე იღვევებიან აზიური წარმომავლობის მოქალაქეები მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა ჩინელები დააძინაშაულა კორონავირუსის გავრცელებაში. ახლა ჯო ბაიდენი იძულებული გახდა, ოფიციალურად განეცხადებინა, რომ: „...აშშ სიძულვილის ადგილი არ არის“. ახლო აღმოსავლეთში ახლა მშვიდობამ კი

დაისადგურა, მაგრამ როდემდე გაგრძელდება და რა იქნება მომავალში, გაუგებარია...

გასულ კვირას ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი არქტიკის ქვეყნების სამიტს მასპინძლობდა. მთავარი მოვლენა რეიკიავიკში ენტონი ბლინკენის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის პირისპირ პირველი ოფიციალური შეხვედრა გახლდათ, რომელიც 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ორივე ქვეყნის პირველ დიპლომატებს აქამდე მხოლოდ ტელეფონით ჰქონდათ ერთმანეთთან კავშირი. არქტიკის ქვეყნების სამიტი გაძლიერებული დაცვით გამოირჩეოდა. ბლინკენ-ლავროვის შეხვედრისთვის დაცვა გაორმაგდა და აკრედიტებული ჟურნალისტების გადაადგილება შეიზღუდა.

მოლაპარაკებას ბლინკენსა და ლავროვს შორის მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს. სწორედ მათი მოლაპარაკების შედეგზე იყო დამოკიდებული სამყაროს პოლიტიკური მომავალი.

შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან მხოლოდ ლავროვი გავიდა, ბლინკენმა უარი თქვა დადილოპოლის გამო. სამიტის დაწყებამდე მან განაცხადა: „...საიდუმლო არავისთვის არის, რომ განსხვავებული ზედვები გვაქვს. აშშ-ის სახელით გეტყვით — ბედნიერები ვიქნებით, პროგნოზირებად ქვეყანასთან გვექონდეს საქმე. აუცილებელია, ყველა საკითხი პატიონსად განვიხილოთ. მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ვითარება შეადამოკიდებული მთელი სამყაროს მომავლის ბედი“. შეხვედრის დასრულების შემდეგ ლავროვმა დიალოგს სასარგებლო უწოდა, მისივე განცხადებით: „...ორი ქვეყნის ურთიერთობას შორის ნაგვის დიდი გროვია, რომლის გაწმენდაც მოგვიწევს. განსაკუთრებით გვაღელვებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან არსებული ვითარება“.

დიპლომატების მოლაპარაკება შედგა, მაგრამ უახლესოდ დარჩა მთავარი კითხვა — შედგება თუ არა ბაიდენ-პუტინის პირისპირ მოლაპარაკება, ან სად შეიძლება გაიმართოს, ამის შესახებ არც ლავროვს და არც ბლინკენს არაფერი უთქვამთ.



მანტექნიკა გამოუყენებია. თუმცა, ექსპერტების თქმით, ნეთანიაჰუ არ აპირებდა ბრძოლების მალე დასრულებას. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კონფლიქტის დაწყებისას ერთი შეხედვით ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა. გასულ კვირას აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა დაურეკა ნეთანიაჰუს და კატეგორიულად მოსთხოვა კონფლიქტის, საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებლივ, ერთ დღეში შეწყვეტა. გაგრძელებული ინფორმაციით, ნეთანიაჰუ თავდაპირველად დააბნინა ჯო ბაიდენის კატეგორიულმა ტონმა. სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ წარმოუდგენელი იყო აშშ-ისრაელს შორის მსგავსი დამოკიდებულება. მართალია, ნეთანიაჰუმ ბაიდენს უპასუხა, რომ სამხედრო ოპერაციას მანამდე გააგრძელებდა, ვიდრე ისრაელის მოსახლეობა სრულიად უსაფრთხოდ არ იქნებოდა. თუმცა დინების წინააღმდეგ ვერ წავიდა და საბრძოლო მოქმედებები შეწყვიტა. ვიდრე ჯო ბაიდენი კატეგორიულად მოსთხოვდა ნეთანიაჰუს ცეცხლის შეწყვეტას, გაერთიან-

ანალიტიკოსები არ გამოირიცხავენ ღაზის სექტორში იარაღის, მათ შორის, რაკეტების არაღებულად შეტანას. დამატაციკებული ფაქტები ჯერ არავის გაუსაჯაროებია, მხოლოდ ვარაუდობენ და, ალბათ, ლოგიკურადაც. ისრაელის სამხედრო ავიაციამ ხუთჯერ განაზოგადებულა შეტევა მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის, გვირაბების გასანადგურებლად. ებრაელი სამხედროების თქმით, განადგურებული გვირაბები სხვადასხვა მიმართულებით 100 კმ სიგრძის იყო. მსგავსი ნაგებობების მშენებლობას სოლიდური თანხები სჭირდება. ექსპერტ-პოლიტოლოგები ყურადღება ამახვილებენ ისრაელის მიმართ ირანისა და თურქეთის მტრულ დამოკიდებულებასაც. თუმცა ირანი დღემდე დუმილის რეჟიმშია, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი კი ისრაელს მხოლოდ წყევლა-კრულვას უგზავნის. მისივე თქმით, თურქეთი ნებისმიერ მუსულმანურ ქვეყანას და ყველა მუსულმანს დაიცავს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ავად თუ კარგად, ახლო აღმოსავლეთი მშვიდობიან (თუნდაც



გია ბურღული 551 71 27 07

საქართველოში მედიკამენტების ღირებულება 300-400%-ით უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ თურქეთში

„თუ ვნახე ნაფლის გაფია, თავს ნავაყლი! აბა, რისთვის ვარ აქ მე?“

დღეს, ქვეყანა არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. თუმცა, ბოლო პერიოდში, მედიკამენტებზე საგრძობლად მომატებული ფასები ვერაერთარ კრიტიკას ვერ უძლებს. მოსახლეობა არჩევანის წინაშეა, რა იყიდოს — საკვები თუ წამალი! სავალდებულო მდგომარეობა არამხოლოდ წამლის ფასის, არამედ ხარისხის კუთხითაც. ზოგადად, არსებობს „წამლის ხარისხის კონტროლის პროგრამა“, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამ პროგრამის ფარგლებში ხდება მედიკამენტების შესყიდვა, თუმცა როგორც ირკვევა, შესყიდული რაოდენობა იმდენად მისერიულია, რომ ეს სრულიად არასაკმარისია იმისთვის, რათა წამლის ხარისხი შეფასდეს. საქართველოში, უკვე, წლებია მედიკამენტების სახელმწიფო კონტროლი არ ხორციელდება. განა

ხელწოდება „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო“. სახელწოდებათა გადასაცვლებით ვითარება არ იცვლება. „საერთო გაზეთი“ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს დაუკავშირდა და სააგენტოს უფროსთან ზაალ კაპანაძესთან დაკავშირება ითხოვა. ოპერატორმა ამ უწყების წარმომადგენლის ნონა ბენდელიანის მობილურის ნომერი მოგვცა, ის გვიპასუხებთ თქვენს შეკითხვებზე. ბენდელიანმა მკაცრი ტონით მომიგო: მე, კითხვებზე პასუხს ვერ გავცემ, პრეს-სამსახურს დაუკავშირდით და ინფორმაციას ის მოგაწვდით. თქვენ ხომ სააგენტოს წარმომადგენელი ბრძანდებით, პრეს-სამსახური რა შუაშია-მეთქი, შევბედე, თუმცა, უშედეგოდ. ისევე, დაუკავშირდით ჯანდაცვის სამინისტროს

პრეს-ცენტრთან დაკავშირების შესახებ. საბოლოოდ, პრეს-სამსახურთან დაკავშირებაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ოპერატორმა გოგონამ მათი დანაბრები გადმომცა: პრეს-სამსახურს ტელეფონი არ აქვს, ვერ დაგაკავშირებთ, სამინისტროს ელექტრონულ მისამართზე მოგვწერეთ და გიპასუხებენო. რამდენიმე კითხვას აქვე, დავწერ: რატომ არ ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი მედიკამენტებზე, იგივე, საკონტროლო შესყიდვები; რა ოდენობის მედიკამენტებს ჩაუტარდა ლაბორატორიული ანალიზი და რამდენი მათგანი გამოდგა უვარგისი; ამოღებულ იქნა თუ არა ქსელიდან წუნდებული მედიკამენტები (სხვათა შორის, ამერიკაში ყოველდღიურად ხდება წუნდებული პრეპარატების აღმოჩენა. საქართველოში ასეთი რა უნიკალური ფარმაცევტული ბაზარი გვაქვს, რომ ერთი წუნდებული პრეპარატის შესახებაც არ სმენია მოსახლეობას); რისკ-ჯგუფის ქვეყნებიდან შემოსულ წამლებს რატომ უშვებენ მხოლოდ დოკუმენტაციას და ა.შ. მას მერე რაც სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს საიტზე შევედი, ჩემთვის ცხადი გახდა, რატომ აარიდა თავი აღნიშნულმა უწყებამ „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუს. სააგენტოს ტოპ-მენეჯერებში არცერთი სპეციალისტი არ მუშაობს. სააგენტოს უფროსი ზაალ კაპანაძე იურისტი გახლავთ, მოადგილე კახაბერ შალიკაძეს ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული, ხოლო მეორე მოადგილე გიორგი გუნცაძე პროფესიით ეკონომისტი. ასევე, იურისტები არიან დეპარტამენტის უფროსები დიმიტრი მათიაშვილი და ჯაბა ვეზდენი. მხოლოდ ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ლია მელიქიძე გახლავთ ფარმაცევტ-ორგანიზატორი.

იყო შემთხვევები, როცა წლების მანძილზე სამკურნალო საშუალებების ანალიზის ლაბორატორიაში საანალი-



ზოდ არცერთი მედიკამენტი არ შედიოდა. როგორც წესი, სახელმწიფო ტენდერს წლის ბოლოს აცხადებს და ერთ წელს შემოსებული უვარგისი მედიკამენტი ხმარებიდან მომდევნო წელს ამოაქვთ. რა უნდა ქნას ამ დროს მოქალაქე? — არ დალიოს წამალი და დაელოდოს სახელმწიფო ხელახალი ტენდერის ჩატარებას როდის ინებებს! წამლის კანონში არაერთი ცვლილება განხორციელებულა, თუმცა კრიტიკას ბევრი მათგანი ვერ უძლებს. მაგალითად, ერთ-ერთი ცვლილებით უცხო ქვეყნიდან შემოსული პრეპარატი ჯერ რეგისტრირდება, შედის აფთიაქში და მერე უნდა სდიო ვარგისია თუ არა იგი. მათ შორის, რისკ-ჯგუფის ქვეყნებიდან შემოსული წამლები, რომელსაც მხოლოდ დოკუმენტაციას უშვებენ, არადა ლოგიკურად ჯერ ლაბორატორიული ანალიზი უნდა ჩატარდეს და შემდეგ გადაწყვეტილება მიიღოს თუ არა მისი ქსელში გაშვება. აქედან ამკარაა, რომ დღეს საფთიაქო ქსელში შექმნილი მედიკამენტები უსაფრთხო არ არის.

სამკურნალო საშუალებების ანალიზი წლების განმავლობაში საქართველოში აკრედიტებულ ლაბორატორია „ჯეოლაბში“ ხდებოდა. რამდენიმე წლის წინ ჩვენთან საუბრისას „ჯეოლაბის“ ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან ბარამიძემ განაცხადა, რომ ლაბორატორიაში, პრაქტიკულად, წამლების ანალიზი არ კეთდება, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო კონტროლს მედიკამენტებზე, ამ მხრივ სრული განუკითხაობააო. ჩვენ დავინტერესდით რა ხდება ამჟამად და **ქეთევან ბარამიძეს** დაუკავშირდით:

— ქალბატონო ქეთევან, თქვენი ლაბორატორია წამლების ანალიზს აკეთებს. რა ვითარებაა, ამ მხრივ, ახლა, მედიკამენტებზე სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება?

რაც თვითონ კონკრეტულ პირს სურს. ვისაც აქვს სურვილი რომ გააკეთოს ანალიზი მოდის და აკეთებს. ზოგადად, ამით ბაზარზე ვერ ილაპარაკებ, არ შეიძლება.

— ანუ სახელმწიფოსგან არ ხდება საანალიზოდ წამლების შემოტანა?

— სახელმწიფომ რატომ უნდა შემოიტანოს ტენდერი თუ არ გავიხსენებთ ან რაღაც თუ არ იქნა, ისე ხომ ვერ შემოიტანს მე სახელმწიფო საანალიზოდ წამლებს (!). არ მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ ტენდერი ჩატარდა თუ არა, არ მიმიდევნებია თვალი ელექტრონული ტენდერების შესახებ ინფორმაციისთვის. ამიტომ არც მომიკითხია. არ ვიცი.

— მაშინ სად ტარდება მედიკამენტებზე ლაბორატორიული კვლევები?

— გეუბნებით, არ მაქვს ინფორმაცია და თქვენ, კიდევ კითხვებს მისვამთ. რა გითხრათ, არ მაქვს ინფორმაცია და ტყუილი ინფორმაციის გაცემა არასდროს ყოფილა ჩემი თვისება. ფასებზე, საერთოდ, არ მაქვს ინფორმაცია. უკურნალისტებს თქვენი აზრის გამოთქმის და ინტერპრეტაციის უფლება გაქვთ. მე მეცნიერი ვარ და ფაქტები თუ არ მაქვს არ შემიძლია სხვანაირად ლაპარაკი. არ მაქვს ეს ფაქტები, არ დავინტერესებულვარ, სხვა საქმით ვარ დაკავებული.

— ქალბატონო ქეთევან...

— გეუბნებით, არ მაქვს ინფორმაცია და ახლა, შეიძლება ამის ინტერპრეტაცია გაკეთდეს — არ უნდოდა ინფორმაციის მოცემა, რადგანაც საქმე და არ თქვაო. არც ინფორმაცია მაქვს, არც ფაქტები და ტყუილს ხომ არ მოვიგონებ. ნახვამდის, მაპატიეთ, ძალიან ბევრი საქმე მაქვს.

ამკარაა, რომ მართლაც „რადღაცა-შია საქმე“, მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გამხდარა, ვიდრე წლების წინ ამის შესახებ ქალბატონი ქეთევანი საუბრობდა. თუკი ადრე შერჩევით ერთი-ორი მედიკამენტი მინც შედიოდა შესამოწმებლად, ახლა ესეც აღარ ხდება. კიდევ ერთი მთავარი პრობლემა, რაც დღეს მოსახლეობას აწუხებს მედიკამენტების მომატებული ფასებია. ფარმაცია საკმაოდ პოლიტიზირებული სექტორია, სადაც ჯანდაცვისა და ბიზნესის ინტერესები იკვეთება, აუცილებელია მისი სახელმწიფო



დაცინვა არ არის, როცა სახელმწიფო კონტროლს ეძახის იმას, რომ წელიწადის ბოლოს რამდენიმე მედიკამენტი მოწოდება და წლის ბოლომდე მათი სრული შემოსუბაც კი ვერ ხერხდება! „პრობლემის მოსაგვარებლად“, წლების წინ, ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ვლადიმერ ჭიპაშვილმა „წამლის სააგენტო“ შექმნა, რომელიც წამლის ხარისხზე, მის რეგისტრაციასა და უსაფრთხოებაზე მთავარი პასუხისმგებელი ორგანო უნდა ყოფილიყო. „მე ვნახე მანინჯი სისტემა, მინდა ეს შეეცვალოს, თუ ვნახე წამლის მაფია — თავს წაყავლი, აბა, რისთვის ვარ მე აქ“ — ასე განაცხადა გამინისტრებულმა ჭიპაშვილმა, თუმცა რეალურად, დროთა განმავლობაში, წამრობის ნაცვლად, მაფიას თავები საკმაოდ მოუმრავლდა. მოგვიანებით, მომდევნო მინისტრმა სანდრო კვიციანიძემ „წამლის სააგენტო“, საერთოდ, გააუქმა და ახალი — სამედიცინო რეგულირების სამსახური შექმნა. სანამ ჯანდაცვის ყოფილი მინისტრები მაკონტროლებელი ორგანოს შექმნა-გაუქმებით ერთობოდნენ, ამასობაში წამლის მაფიამ მყარად მოიკიდა ფეხი. დღეს ამ უწყების სა-

ცხელ ხაზს და ამჯერად, პრეს-სამსახურთან გასაუბრება ვითხოვეთ. მიმართეთ პრეს-ცენტრს — დღეს ამ ფრაზით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ რა პასუხიც მე, მივიღე, ეს ნამდვილად სიახლეა. ოპერატორმა (მას მერე, რაც პრეს-ცენტრს აცნობა, რომ ჟურნალისტი მათთან დაკავშირებას ითხოვს) მთელი სერიოზულობით მკითხა: თქვენ, შეთანხმებული გაქვთ



„გურია იყო ურთიერთობა“

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნაშრომში „საქართველოს სულიერი მისია“ თვალნათლივ არის აღნიშნული ქართველი ერის გენეტიკური განვითარების შესახებ მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რაც იმაზე მოწმობს, რომ საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე გაჩენილი გონით, აზროვნებით, დამოკიდებულებებით ნასაზრდოები კულტურით არის გაჯერებული მთელი ხმელთაშუა ზღვისპირეთის ხალხების შემდეგდროინდელი ცივილიზაცია და არა მარტო ხმელთაშუა ზღვის ხალხების.

ამას გულისხმობს გლობალიზაცია და პირველი გლობალისტებიც ჩვენ გამოვდივართ, ასე თუ მივედგებით, რადგან გლობალიზაცია არის ეროვნულ კულტურათა გაცვლა და ერებში ძლიერი კულტურული ექსპანსიების დომინაცია.

ტერმინი გლობალიზაცია ფრანგული სიტყვაა და საერთოს, საყოველთაოს ნიშნავს. ის წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების ერთობლიობას.

აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის პროცესები, როგორც ვხედავთ, ადამიანის ევოლუციასთან ერთად არის დაწყებული და დღემდე გრძელდება. თუმცა კაცობრიობის განვითარების პარალელურად, თავად ტერმინი, თავისი მნიშვნელობით, იცვლის აზრს და მიმართულებას და დღეს გლობალიზაცია იმდენად აგრესიული სახით დგას ერების წინაშე, რომ ის, ჩვენს ახალ პოლიტიკოსს ლევან ვასაძეს დავეთანხმები, ნამდვილად ქმნის საფრთხეს პატარა ერებისთვის და იცით, რატომ? — გლობალიზაცია ყველგან ამკვიდრებს ერთსა და იმავე ღირებულებებს, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც გლობალიზაციის ტალღას უმფოთველად და სიფრთხილის გარეშე მინდობენ თავს, დაიღუპებიან. ამიტომაც, თავი რომ გადაიჩინონ, საკუთარი კულტურის და საუკეთესო ტრადიციების წიაღში უნდა ჩაღრმავდნენ.

გასულ კვირას ჩემს მშობლიურ გურიაში, სოფელ ხიდისთავში პატივსაცემი კაცი ჩავივინე სტუმრად და კარის

მეზობლებთან ერთად პატარა ვახშამი გავმართეთ.

მაისის თბილი საღამო იყო. აივანზე ბახმაროს რბილი ნიავი ქროდა, გურული მამლები რატომღაც ყურისწამლებად გაჰყიდნენ კიდე ერთი დღის დასასრულს.

ჩემი მეზობლები — ნამუსიანი კაცები და ნახევარსაუკუნეგადავლილი, წყნარი სევდით შემკული მშვენიერი ბანოვანები საუბრობდნენ იმანუილ კანტზე, იოჰან გოტლიბ ფიხტეზე, ჰეგელზე და სხვებზე, ჩვეულებრივად, ბუნებრივად



და მარტივად, თან ყურადღებას არ აკლებდნენ სტუმარს, რომელიც დღემდე ღვთის კაცად არის მიჩნეული გურიაში.

გაკვირვებული და კმაყოფილი დაბრუნდა თბილისში ჩვენი სტუმარი უბრალო და ამ დიდებული უბრალოებით გამოჩეულ სოფლის ინტელიგენციასთან ვახშამობის შემდეგ და ეს არ იყო სპეციალურად შერჩეული საღამო მხოლოდ მისთვის. ეს არის ჩემი ბავშვობის ლაღი და ახლა მიტოვებული სულიერად და მენტალურად მდიდარი გურია.

იმ დღის ვახშამმა გამახსენა სოფლის კოლორიტი ტარიელ კილასონია, რომელიც თავის დროზე სუფრების ცნობილი წამყვანი იყო გურიაში. ის იყო საშუალოზე ოდნავ მაღალი, ჩადგმული, სრული კაცი, მრგვალი პირი-სახით და ხუჭუჭა თმით. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ცოცხალი, მოძრავი, დაკვირვებული თვალები

და დაჟღავნა, ფერიანი სახე. ტკბილხმიანი ბარიტონი ჰქონდა, „ხასანბეგურას“ და მოძახილს მღეროდა საოცრად. ლოტბარი იყო, ფაქტობრივად. მკვეთრი გამოთქმებით უყვარდა ლაპარაკი. სიტყვებს ძალას ატანდა და ტკეპნიდა, თითქოს ამ სიტყვებს ელოლიავენ.

ერთხელ ასეთი ამბავი მოყვა:

პატივმისაგებ სუფრაზე მოვხვდი.

მასპინძელმა გამოაცხადა:

— ჩვენს თავყრილობას წარუძღვება შესანიშნავი კაცი,

დიდებული თამადა სოკრატ სალუქვაძე.

წამოდგა ბატონი სოკრატი და ბრძანა: ჩემი მოადგილე იქნება ის, ვინც წარმოსთქვამს ყველაზე კარგს ლექსს ქალზედ.

სუფრას მშვენიერი მანდილოსნები დასტრიალებდნენ — მოჰქონდათ ცხელი ხაჭაპურები, მჭადები, ღობი.

ერთი ქალბატონი მომეწონა ძალზედ. მისთვის თავი უნდა მომეწონებინა და სოკრატ სალუქვაძის წინადადებაზე მაშინვე წამოვდექი ფეხზე.

ყველა გაისუსა.

მე რომ მომეწონა, ის ქალბატონიც იქვე იდგა და სმენად განაბული შემომცქეროდა, ტანკენარი და მწყერივით ნაზი.

გული გამალეებით მიფეთქავდა და აღმომხდა:

შემოგატყდა წვიმა ტანზე? წვიმა ტანზე შემოგატყდა? შენს სხეულზე მოფერების, ნება ვის აქვს წვიმის გარდა?!

სუნი მომკლავს ბალახების შენ რომ ფეხშიშველი თელავ, სხივებს შვისკენ ეგებები, გეფერება ცისარტყელა.

წარმოვთქვი ეს და წავიწიე წინ, იმ ქალბატონისკენ.

ქალბატონმა დაიმორცხვა, მე კი დამიკრეს ტაში და გავხდი მთავარი თამადის მოადგილე იმ დიდებულ სუფრაზე...

უკვე ასაკშემოპარული, მაგრამ მაინც მხნე, ტარიელ კილასონია, წლების წინ სოფელი ხიდისთავის სასაფლაოს მიწამ ჩაიხუტა „ქალზედ“ არსებულ თავის სანუკვარ ოც-

ერთობა, ქუთაისი იყო ურთიერთობა, კახეთი იყო ურთიერთობა და გურია იყო ურთიერთობა...

ეს იყო უნიკალური, სამუხეუმო, ისტორიული დამოკიდებულებები, რომელიც თითქოს მომენტალურად გაქრა. კი არ გაითქვიფა, ან რაიმეს შეერია, არამედ გაქრა, როგორც მირაჟი, როგორც ბებია-ბაბუების მეხსიერებაში შემორჩენილი შორეული შთაბეჭდილება.

გლობალიზაცია და მკაცრად მატერიალიზებული კაპიტალიზმი ანადგურებს ყველაფერს წარსულს, უკუაგდებს, ზურგს აქცევს, რითაც აბუჩად იგდებს არა მხოლოდ თავად ამ წარსულს, არამედ როგორც ერის და თითოეული ჩვენგანის — თაობების არსებობას და მომავალსაც.

ვითარდებიან სახელმწიფოები. იქმნებიან ქალაქები, ხალხთა გაერთიანებები და ჯგუფები სხვადასხვა ინტერესით და ერთი ნიშნით — მატერიალური უზრუნველყოფა და სრული მატერიალური კეთილდღეობა; რომელიც, მე თუ მკითხავთ, სულაც არ არის კეთილ დღეობა...

ადამიანები იქმნიან ცხოვრების პირობებს, სადაც ექნებათ მუდმივი შუქი, სითბო, წყალი, საკვები, მაგრამ არ იქნება უმთავრესი — აზრი და დანიშნულება ადამიანის არსებობის...

მე არ მივაწერ ყველაფერ ამას გლობალიზაციას. არ მინდა, ისე იყოს, რომ ყველაფერი, ვთქვათ, გლობალიზაციას დაბრალდეს.

არ მივაწერ ყველაფერ ამას არც მეორედ მოსვლის წინა ნიშნებს, რადგან არ მსურს, წერილი რელიგიური ან თუნდაც პოლიტიკონომიური თეორიის გაველენას განიცდიდეს.

არც საქართველოს დაქვეყნის მსურველთა გეგმად განვიხილავ ზემოთ ნათქვამს — შეთქმულების თეორია რომ უარვყო.

უბრალოდ, ფაქტებზე და მკაცრ დღევანდლობაზე ვლაპარაკობ, იმ დამახინჯებულ გლობალიზაციაზე, რომელიც, სახელის გარეშე სპობს ჩვენს წარსულს და მომავალს; ხოლო ყველამ ვიცით, „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“.

ირანდა პალანდამი

593 56 11 18

სუთი რეგიონი, როგორც დაყოვიდაბლობა სურს

მსოფლიოში კატალონიის გარდა ბევრი რეგიონია, რომლებიც დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვიან და იმ ქვეყნების შემადგენლობიდან გამოსვლა სურთ, რომლის ნაწილიც არიან.

ახალი კალდონია

ევროპელმა კუნძული ახალი კალდონია 1774 წელს აღმოაჩინეს (ჯეიმს კუკი). პირველი ევროპული დასახლებები — ქრისტიანული მისიები, კუნძულზე მხოლოდ 1840-იან წლებში გაჩნდა. პრიმიტიულადგეილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, რომელიც იქ დაახ-



ლოებით ჩვ.წ. აღ-მდე XVI ს-იდან ცხოვრობდა, ევროპელებს არ გამოუვიდათ — კოლონიზატორს აძევებდნენ, ზოგს კი ჭამდნენ. ახალ კალდონიაში კანიაბალიზმი ბატონობდა. 1853 წელიდან კუნძული საფრანგეთის ფაქტობრივი კოლონია და პატიმრების გადასახლების ადგილი გახდა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ აქ ნიკელის მოპოვება დაიწყო, რაც მსოფლიო მარაგის ერთ მეოთხედს შეადგენს.

2018 წელს ჩატარებული რეფერენდუმის თანახმად, ახალი კალდონია საფრანგეთის შემადგენლობაში დარჩა, 2020 წელს ჩატარებული განმეორებითი რეფერენდუმის მიხედვით, ქვეყნის დამოუკიდებლობის მსურველთა რაოდენობა წინანდელთან შედარებით სამი პროცენტით გაიზარდა და 56,4% შეადგინა. შესაძლებელია, დამოუკიდებლობის მსურველთა რაოდენობის ზრდა გახდეს იმის წინაპირობა, რომ რეფერენდუმის თანახმად, რომელიც 2022 წელს უნდა ჩატარდეს, ახალი კალდონიის მოსახლეობამ დამოუკიდებლობაც კი მოიპოვოს.

სომალილენდი

1960 წელს აღმოსავლეთ აფრიკაში, სომალის ნახევარკუნძულზე ორი ყოფილი კოლონიის იტალიური და ბრიტანული სომალის (სომალილენდი) შერწყმის შედეგად შეიქმნა სახელმწიფო —

რესპუბლიკა სომალი. 1991 წლისთვის, ჯერ საგარეო, მერე კი სამოქალაქო ომის და დიქტატორ სიად ბარეს რეჟიმის დამხობის შედეგად (რომელმაც რესპუბლიკის დაარსებიდან მალევე ჩაიდგო ხელში ქვეყნის სადავები), სომალის ტერიტორიაზე სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, ხოლო სომალილენდმა ყოფილი ბრიტანეთის კოლონიის ფარგლებში დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ ის ოფიციალურად არავის უღიარებია, აქ სახელმწიფოს ყველა ატრიბუტია — პარლამენტი, სასამართლოები, მთავრობა, სა-

ბანკო სისტემა, საკუთარი ვალუტა, არმია და პოლიცია, საგარეო ეკონომიკური კავშირები და, რაც მთავარია, შედარებითი წესრიგი და განვითარება, რომელთაც მსოფლიოში აღიარებული ბევრი ქვეყანა ვერ იტრაბახებს.

ფლანდრია

ბელგია საკმაოდ ახალგაზრდა ქვეყანაა (თუნდაც დასავლეთ ევროპის საზომების მიხედვით). დამოუკიდებლობა აქ 1830 წელს გამოცხადდა, როცა საფრანგეთის მორიგი რევოლუციის შემდეგ და რელიგიური დაპირისპირებების ნიადაგზე, გაერთიანებული ნიდერლანდების პროტესტანტული სამეფოს ორი კათოლიკური პროვინცია, ერთი, რომელიც, ძირითადად, ფლამანდიურ დიალექტზე საუბრობდა და მეორე, ფრანგუ-

ლენოვანი ვალონია, რევოლუციის შედეგად ქვეყანას გამოეყო და თავი დამოუკიდებელ ბელგიის სამეფოდ გამოაცხადა.

თანდათანობით ქვეყნის ფრანგულენოვანი მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა, მეორე ენის დასაცავად კი საჭირო გახდა გარკვეული ზომების მიღება, რასაც ფლანდრიელები არასაკმარისად მიიჩნევდნენ. ამასთან, 1960-იანი წლებიდან იზრდებოდა ფლანდრიის ეკონომიკური მნიშვნელობა და პროვინცია ვალონიაზე მდიდარი გახდა. ეკონომიკური თანასწორობის აღსადგენად მთავრობამ დაიწყო გადასახლების გადანაწილება ამ ორ პროვინციას შორის. ფრანგულენოვანი ბელგიელები ნიდერლანდური ენის შესწავლას არ აპირებდნენ, რაც კიდევ უფრო ამორედა რეგიონებს და იწვევდა დისკუსიებს ბელგიის დაშლის შესახებ. და, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმები ჯერ არ დაუნიშნავთ, ქვეყნის ამ ორ რეგიონს შორის ურთიერთობა უკვე სამთავრობო კრიზისში გადაიზარდა — 2010 წლის არჩევნების შემდეგ ბელგი-



ის პარლამენტმა 589 დღის განმავლობაში ვერ შეძლო კოალიციური მთავრობის შექმნა.

ბიაფრა

1960 წელს ნიგერიაში, რომელიც დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო, დამოუკიდებლობა მიიღო.



1967 წელს კი იქ სამოქალაქო ომი დაიწყო, რომელიც 2,5 წელს გაგრძელდა და ახალგაზრდა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების გამიზნული ქმედებების გამო შიმშილით 2 მილიონი ადამიანი დაიღუპა. ამ დროის განმავლობაში ნიგერიის აღმოსავლეთ ნაწილში არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფო რესპუბლიკა ბიაფრა, რომლის მოსახლეობა 55 მლნ. იყო. ეს სახელმწიფო მხოლოდ ხუთმა ქვეყანამ აღიარა (ოთხმა აფრიკულმა და ჰაიტიმ). სწორედ ბიაფრა და ნიგერიის ცენტრალუ-

სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ფრაგმენტი, სირიის აღმოსავლეთი, ერაყისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი. ტერიტორია მთლიანად 450 ათას კვ.კმ-ს შეადგენს. სწორედ აქ ცხოვრობს ქურთი ხალხის ძირითადი მასა. მათი რაოდენობა დაახლოებით 30-40 მლნ-ია. რამდენიც უნდა იყვნენ ისინი, ქურთები მსოფლიოში ერთადერთი დიდი ერია, რომელსაც სახელმწიფო არ გააჩნია, მაგრამ აქვს საკუთარი ენა (ან ენები), კულტურა, რელიგიური თავისებურებები. დაძაბულობა ქურთებსა და იმ ქვეყნების ხელისუფლებებს შორის, რომელთა ტერიტორიებზეც ისინი აღმოჩნდნენ, ათწლეულებია, გრძელდება, მაგრამ ბოლო წლებში გამოჩნდა რეალური შანსი, როგორც მინიმუმ, ქურთების პროტოსახელმწიფოებრივი ტერიტორიული წარმონაქმნისა. ამგვარად, 1991 წლიდან ერაყის ტერიტორიაზე არსებობს ჯერ-ჯერობით ერთადერთი ქურთთა ადმინისტრაციული წარმონაქმნი — ერაყის ავტონომიური ქურთისტანი.

სირიის რეჟიმის დასუსტებისა და სამოქალაქო ომის შედეგად შესაძლებელი გახდა ისტორიული ქურთისტანის ტერიტორიაზე სახელმწიფოს თუ არა, ავტონომიის შექმნა. უფრო მეტიც, თუ ქურთები შეძლებენ რეგიონში ისლამისტებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, ერაყისა და სირიის ადმინისტრაციები დასუსტდება, დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის იდეა რეალურად იქცევა.

ქურთისტანი

დღეისთვის ქურთისტანის შემადგენლობაში შედის თურქეთის

ბელა გველმისანი
568 90 81 22

ი ყ ი დ ე ბ ა

თხის ყველი, თხის რქა.

აგრეთვე სხვა ნატურალური პროდუქტები.
ტელ: 574 74 75 07 გიორგი

„საერთო გაზეთი“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. J/6 GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: **ვახტანგ ხარჩილაძე**

სარედაქციო კოლეჯია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შევლიძე მარიამ ჯანჯღავა, გაბა ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველმისანი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), მთავარისა კვეციანი (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშაძის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com

რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს

„ელვა-ჰი“-ს მშვიდობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1



2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციის არ ეთანხმებოდეს რედაქციის არს. ინფორმაციის სიზუსტეა პასუხისმგებელი ავტორი. გაზეთში მასალის გამოქვეყნებამდე არა უნდა იქონიეს პრესის მხარე. გამოსული მასალის ავტორის არ უარუნდება.

© ამ ნომერი აღწერილია სარედაქციო მასალებით.

ინტელექტუალური უფლებების „საგვარამონი“ სტამბაში. ავტორის 39. ტელ: 234-39-99